

ლენინა შალვაშვილი

ის დღე და მას დღე

ამა თუ იმ მოვლენის დროული ინფორმაციის დასაზუსტებლად ქართულში გამოიყენება **ეს, ეგ, ის** ნაცვალსახელების შემცველი ფრაზეოლოგიზებული თქმები:

ა) **ეს არის, ეს-ეს არის, ეს-ესაა; ეს იყო, ეს-ეს იყო; ის იყო, ის-ის იყო;**

ბ) **ეს იყო, ეს იყო და ეს; ეგ იყო, ეგ იყო და ეგ; ის იყო, ის იყო და ის, აგრეთვე — კილოური ელფერის ის დღე და მას დღე სათანადო ვარიანტებითურთ: ის დღე იყო და მას დღე, ის დღე იყო და მას დღე იყო.**

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში აღრიცხულია „ეს არის“ რიგის თქმები:

◇ **ეს არის** — სულ ახლახან... (შდრ. **ეს-ეს არის**); ◇ **ეს-ეს არის, ეს-ესაა** (ნამ. **ეს-ეს იყო**) — ეს არის, ახლა, სულ ცოტა ხანია, რაც, — სწორედ ახლახან, ამ წუთას: „პატარა გაჭირვულდა და **ეს-ეს არის** ძლივს დავაძინეთ“ (აკაკი). „**ეს-ეს არის** ყუყუნა წვიმამ გადაიღო“ (ვაჟა). „**ეს-ესაა** ცხენზე შეჯდა... და წავიდა“ (დ. კლდ.). „**ეს-ეს იყო** გიორგიმ ძლივ-ძლივობით გაიარა“ (კ. ლორთქ.).

იქვე შენიშნულია, რომ დისიმილაცია-აფრიკატიზაციის შედეგად მიღებული **ესეცაა** ფორმა უმართებულოა; მაგალითად დასახელებულია: „**ესეცაა** გულის ხეთქებით მოირბინა ჩვენმა იფრინდამ“ (ს. ქვარ. [5]).

◇ **ის იყო...** იგივეა, რაც **ის-ის იყო**. ◇ **ის-ის იყო** — სწორედ მაშინ, სწორედ იმ მომენტში (როდესაც რამე უნდა მომხდარიყო): „**ის იყო** ჩვენც შევედით სოფელში“ (აკაკი). „**ის-ის იყო** უღვაშები მემწვანებოდა“ (აკაკი). „**ის-ის იყო** მედიდურად ამოყო თავი მთვარემაც და გაანათა დედამიწა“ (აკაკი). „თუ არ მომეკლა, ჰე, **ის-ის იყო** ზაალს მოკლავდა ის მოღალატე“ (აკაკი). „[ალალს] **ის-ის იყო** [მტრედის] შვილი უნდა დაეჭირა, მაგრამ მტრედებმა ტყეში შეასწრეს და ხშირს ფოთლებში ჩაიმაღლენ“ (ვაჟა) [5].

ქველ-ის ერთტომეულში ასეთ გამონათქვამებთან დამოწმებულია ფრაზეზები: **ეს-ეს არის** წვიმამ გადაიღო. **ის იყო** სადილად უნდა დამსხდარიყვნენ, რომ სტუმარი მოუვიდათ. **ის-ის იყო** უნდა წასულიყო, რომ წერილი მოუტანეს [6].

აღსანიშნავია, რომ:

ა) **არის**-ზმნიან თქმაში უფრო **ეს** ნაცვალსახელი იხმარება (იშვიათად შეიძლება **ეგ** გამოჩნდეს), **იყო**-ზმნიანში კი **ეს, ეგ, ის** — სამივე ნაცვალსახე-

ლი გვხვდება;

ბ) **ეს-ეს**, **ის-ის** გაორკეცება შესაძლებელია, **გვ-გვ** — არა;

გ) ფუძეგაორკეცებული ნაცვალსახელური წევრის შემცველი თქმა მეტი ექსპრესიულობით გამოირჩევა; ქველ-ში იდენტურად დასახული **ის იყო** და **ის-ის იყო** თქმებიდან **ის-ის იყო** უფრო მეტი გამომხატველობითი ძალისაა, — უფრო მიახლოებით მიუთითებს მოქმედების დროს, — ვიდრე **ის იყო**.

ეს არის/ეს იყო და მისთ. თქმებს ზოგჯერ სათანადო შინაარსის ე ს წ უ თ ი ა, ა ხ ლ ა, ს უ ა ხ ლ ა ხ ა ნ — დროის აღმნიშვნელი ერთეულებიც ახლავს; მაგალითად: „ვისღა ახსოვდა, რომ ე ს ი ყ ო, **ენლა** დაუნდობლად ბეგვდნენ ერთმანეთს!“ (ვ. ბარნ.).

ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში — სათანადო ნაცვალსახელთა მასალაში — არ ჩანს **ეს იყო/ეს იყო და ეს** რიგის თქმები. საჭირო კი არის, რომ მათაც ჰქონდეთ ადგილი ლექსიკოგრაფიულ წყაროებში. — ისინი არცთუ იშვიათად იხმარება და შინაარსობრივადაც თავისთავადნი არიან.

დავუკვირდეთ საძიებელ თქმათა სემანტიკას: **ის იყო/ის-ის იყო** თქმები ა მ წ უ თ ა ს, ა ხ ლ ა ხ ა ნ მომხდარ ფაქტზე საუბრისას გამოიყენება, **ის იყო/ის იყო და ის** თქმები კი გულისხმობს, რომ მოხდა რაღაც მოვლენა, რამაც დროული მიჯნა (ზღვარი) დაუდო — აკრძალა, შეწყვიტა, გამორიცხა — მანამდელი ქმედება (ვინმესი, რამისა). შდრ. ფრაზები:

ა) ის ი ყ ო / ის - ის ი ყ ო ჩავსხედით და მატარებელი დაიძრა.

ბ) ამ ერთხელ ვედარ გავუმართე ხელი და ის ი ყ ო, აღარც უთხოვია რამე. რაღაც ვაწყენინე და ის ი ყ ო და ის ა, რომ მაგას აქ აღარ მოუღვამს ფეხი.

ისე რომ, **ის იყო** თქმამ შეიძლება ორივე შინაარსის გადმოცემა იტვირთოს: ა) აღნიშნოს სულ ახლანდელი მოვლენის დრო; ბ) დასაზღვროს რაიმე ფაქტის შემდგომი ქმედება. ამ თქმის პარალელური **ის-ის იყო** და **ის იყო და ის** თქმები სხვადასხვა სემანტიკისაა: პირველი ამ წუთას მომხდარი ფაქტის დროზე მიუთითებს, მეორე — იმ დროულ მიჯნაზე, რომლის შემდეგაც აღიკვეთება რაიმე ქმედება.

მაშასადამე, სხვადასხვა შინაარსის თქმების ენობრივი ინვენტარი ხან იგივეობრივია, ხან — რამდენადმე განსხვავებული; კერძოდ, **ის-ის იყო** და **ის იყო და ის** თქმებში:

ა) **ის** ნაცვალსახელი ორგზის გვხვდება, მაგრამ პირველ შემთხვევაში იგი ფუძეგაორკეცებული **ის-ის** კომპოზიტის კომპონენტი, მეორეში — და-თი შეერთებული წყვილების პირველი წევრი;

ბ) **იყო** ზმნა ორივეგან ერთხელ გვხვდება, მეორე თქმაში შეიძლება ორჯერაც გვქონდეს; გვეძლევა: **ის იყო და ის (იყო)**;

გ) პირველი თქმა იწყებს წინადადებას და მომდევნოდ იგუებს **რომ** ან **და** კავშირს, მეორე თქმას რაიმე ფაქტზე საუბარი უსწრებს წინ, მოსდევს მხოლოდ **რომ** კავშირი;

დ) **ის-ის იყო** თქმა ჩაკეტილია, დახურული. — მის **ის იყო** სახეობაში **ის** წევრს შეიძლება ახლდეს **დრო** ლექსემა და დროის აღმნიშვნელი სხვა სიტყვები: წ ა მ ი, წ უ თ ი, ხ ა ნ ი, მომენტი, — **ის იყო და ისა** თქმისთვის

ნიშანდობლივია მხოლოდ **დღე**, — ვიღებთ **ის დღე იყო და ისა** ან **ის დღე იყო და ის დღე** ვარიანტებს: ის **წამი (წუთი)** იყო, რომ ძალმა დაიყვანა და კარიც შემოიხსნა. ერთი კარგა შევაჩვენე და ის **დღე** იყო და ისა, რომ იმას აქეთ აღარ ჩამოუვლია.

კონსტრუქციული დახასიათებისას **ის-ის იყო** და **ის იყო და ის** თქმებს საერთოც ეძებნებათ, განსხვავებულიც. სწორედ ამ სხვაობას უნდა ეფუძნებოდეს მათი სემანტიკური თავისთავადობა. მაშინ რა განასხვავებს **ის იყო** მოკლე თქმის ორგვარ შინაარსს? — შესაბამისი ფრაზების აგებულება, ინტონაცია: ის იყო შინ შევედი, რომ კარზე დააკაკუნეს. თავისი დანაშაული ვაგრძობინე და ის იყო, მეტად აღარ შეშლია. პირველ ფრაზაში **ის იყო** „ის-ის იყო“ თქმის სინონიმურია, მეორეში — „ის იყო და ის“ თქმისა. ითქვა, რომ მათ განასხვავებს შემადგენელ სიტყვათა რაოდენობა, რიგი, სიხშირე, **დროის** შინაარსის ლექსემათა შერჩევა, **რომ, და** კავშირების განაწილება, ინტონაცია. — მთავარი მაინც სათქმელის შესატყვისი კონტექსტის აგებაა; ენობრივი საშუალებების გამოყენებით ვარირება აზრის ნიუანსურად გამოხატვას ემსახურება. ვარიანტების შეჯერებით დგინდება საძიებელი თქმების ამოსავალი — ვრცელი და მათგან მიღებული სახეობები.

საკითხის კვლევისთვის საყურადღებო მასალას გვაწვდის ილიას მხატვრული პროზა [რ, ტ. II]. აქ **ის-ის იყო** და **ეს-ეს არის** თქმები „სწორედ მაშინ“, „იმ დროს“, „იმ წუთას“, „აი, ახლა“, „სულ ახლახანს“ თქმების შინაარსითაც გვხვდება და **ის იყო**, — „მორჩა“, „გათავდას“ გაგებითაც:

1. ა) [ამბავი] კნენა კეკეს მოგონებული იყო, ეს - ეს არის რამდენიმე საათის წინად 512. ამოვიკითხავთ წინებიდამ რაღაცას და გვგონია, — ეს - ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩავკიდეთო 291.

ბ) მზე ის - ის იყო ათაგებდა თავის მოგზაურობას ცის ლაყვარდზე 550. ამირინდო ახალუხა დახვდათ სავაზეთი ხელში. ის - ის იყო ამოსულიყო კარის ვენახიდან 483. რამწამს ჩინი მოუვიდა, თავი დაანება [სამსახურს] და აქეთ წამოვიდა. ის-ის იყო მამის უბედურობის ამბავიც მოუვიდა, ჩაჯდა ტროიკაში და წამოვიდა 499. შენ ღვთის გამგებლობას უყურე! ის - ის იყო კაცის გულის სიკეთეზედ მელაპარაკებოდა... იმ დროს შემოვიდა ის დედაკაცი 68.

2. შენს სიკვდილს კიდევ ჰოს თქმა მირჩევნია, შე უბრალოდ იმედადაწყვეტილო! — წამოიძახა იმან უეცრად და მკვდარი გამაცოცხლა... ის - ის იყო, ჩემს ბედს იმის ოდენი სიხარული ვეღარსად დავსტყუე 85. მამაჩემსა ვერაფრად ეჭაშნიკა ეს ნაუბარი ბატონისა... ისე გაჯავრებული და გულაყრილი წავიდა, რომ, როცა ქალაქს მივდიოდი, არც-კი მინახულა... ის - ის იყო, მამა-ჩემი თვალით ვეღარა ვნახე 42. — არ მინდა [ხორცი]!.. — გაიმეორა ბავშვმა. ის - ის იყო, მთელი სადილი აღარც ხმა ამოუღია, აღარც პირი მიუკარებია რისთვისმე, თუმცა დედ-მამა ზედ გადააკვდა 480.

მე-2 პუნქტის მაგალითებში ის - ის იყო „ის იყო“/„ის იყო და ის“ თქმების შინაარსისაა. ავტოგრაფები უნდა შემოწმდეს და მათი ჩვენების მიუხედავად სათანადო ფრაზაში უნდა შევიდეს „ის იყო“ თქმა ანდა მისი „ის, ის იყო“ ვარიანტი, რადგან **„ის-ის იყო“** დაწერილობა, — ამ თქმის გავრცელებუ-

ლი გაგება — ტექსტს აბუნდოვანებს.

მოვლენის დროული დასაზღვრისათვის „მორჩა“, „ეგ იყო“ შინაარსით **ის-ის იყო** თქმის გარდა **ის დღეა და ეს დღე** თქმაც გვხვდება მწერალთან:

ოც-და-ათხის წლისა ძლივ იქნებოდა, როცა დაქვრივდა და ერთის წლის შვილი დარჩა. ის დღეა და ეს დღე, ჩაიცვა ლურჯი შალის პერანგი, შავი კაბა, თავზედ შავი მანდილი მოიხვია და აი ეს ოცი წელიწადია მხიარული ფერი არ მიუკარებია ტანზედ 261. თითქმის ოც-და-ათი წელიწადია მაგ დედაკაცზედ გული შევარდნილი ჰქონია. ის დღეა და ეს დღე, სხვა აღარავინ უნდომნია, გული აღარავისზე მისვლია [სოსიას] 325. შენ მაშინ სამის წლისა იქნებოდი, მე რომ ქმარი მომიკვდა. ის დღეა და ეს დღე, გამოვესალმე ქვეყანას, შინიდან ფეხი არ გამომიდგამს 371. ჰო, იმას მოგახსენებდი: ის დღეა და ეს დღე, მოგშორდით და აღარ მინახვიხართ 372.

ასეთ მასალაში **დღე** საზოგადოდ **დროის** აღმნიშვნელია. ზოგჯერ იგი კონკრეტულ დღესაც გულისხმობს. ისევ ილიას ჩავხედოთ:

1799 წლის 26 ნოემბერს რუსის ჯარი შემოვიდა საქართველოში. — „დაიდვა საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა... ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში“ IV, 217.

„ის დღე იყო და ისა“ თქმის მწერლისეულ ვარიანტში ერთგვარი ნაცვალსახელური წყვილის მაგიერ **ის-ეს** ცალგვარია ნახმარი.

მოვლენის დროული დასაზღვრის შინაარსის თქმა **ეს იყო და ეს** ფორმით გიორგი ლეონიძის მოთხრობებშიც გვხვდება „სულ ეს იყო, მეტი არაფერის“ სემანტიკით:

1. ზირაქ მღვდელმა დამარხა [ჩორეხი]. სიტყვაც კი შეაწია.

— უსყიდი კაცი იყოო, გარდაუწვეველი მოსამართლეო, თუმცა ფიცხი და ეჭვიანიო! მშვიდობის ანგელოზმა დაამშვიდოსო იმქვეყნად!.. — ეს იყო და ეს!

სოფელი არ შეძრულა... თმები არავის გაუწეწია... 285.

2. თუ წმინდა გიორგის მოსავი ხარ, დაგვეხმარე წყლის გამოყვანაში, გახდი წმინდა გიორგის მიმდევარი, წყალი მიეცი ხალხს! — უკვე ფიცხად შეუძახა ფორემ მამამთავარს.

ბლალოჩინს მხოლოდ წყნარად გაეღიმა მემამიტ ფორეს ახალ დებულებაზე წმინდა გიორგის შესახებ... ეს იყო და ეს... 298.

სამწერლობო თუ სასაუბრო ქართული საძიებელი თქმების მდიდარსა და მრავალფეროვან მასალას იძლევა. საკითხის კვლევისას გასათვალისწინებელია კუთხური მეტყველების მონაცემებიც.

„ის იყო და ის(ა)“/„ის დღე იყო და ის დღე“ თქმების შინაარსით „ის დღე (იყო) და მას დღე (იყო)“ გამოთქმაც გვხვდება ქიზიყურში, შეიძლება — საზოგადოდ კახურსა და სხვა კილოებშიც. ეს იდიომატური შეხამება უფრო ხნიერთა მეტყველებაში შეინიშნება, ხმარობენ მათი ოჯახის წევრებიც. დავაკვირდეთ ნიმუშებს:

ჩემ გოგოსა ძხვდებოდა ეგ სამგლე ეგა და აშინებდა. დაუდარაჯდი, ერ-

თი მაგრა მოგზნიქე (ვცემე) და ის დღე და მას დღე, რო ახლო აღარ გააქარებია. მივლიდა, როგო არა, ზედაცა მყვებოდა მეზობელი, მაგრამ ჩემა უმადურმა რძალმა უკადრი სიტყვა აკადრა და ის დღე იყო და მას დღე, რო ჩემთან აღარ მოსულა ისა. მეჩხუბა ძალიან, როო ძაღლ მი-მცა და ძაღლ წამართვა. ის დღე იყო და მას დღე იყო, რო მე იმითვინ ხმა აღარ შამიძრახნია. — აბა, ვაპატიებდი!

ამგვარ ფრაზებში მოვლენათა ისეთი მიმართება-მიმდევრობაა, როგორც **ის იყო/ის იყო და ის** თქმების შემცველ კონსტრუქციებში: რაიმე მოვლენა — მისი საწინააღმდეგო (აღსაკვეთი) ქმედება — შემდგომი ქცევა, როგორც მოვლენის გამორიცხვის შედეგი. ამ თქმების მსგავსად **ის დღე და მას დღე** თქმაც დროულ ზღვარს უდებს რაიმე მოვლენას; აღინიშნება, რომ „ეგ იყო, მორჩა, გათავდა, დაწყდა, აღიკვეთა ეს მოვლენა“ და მას აქეთ (იმ დროიდან, იქიდან მოკიდებული, მაშინდლიდან, მის შემდეგ) სხვა ვითარებაა.

და კავშირით შეერთებული „ის დღე“ და „მას დღე“ წყვილებიდან „ის დღე“ ფორმობრივად გამჭვირვალეა: ის — მითითებითი ნაცვალსახელი-მსაზღვრელი, **დღე**-საზღვრული სახელი-სუბიექტი სახელობითში. როგორ უნდა აიხსნას სავარაუდო **იყო/არის** ზმნებთან შეწყობილ „მას დღე“ წყვილში **მას** მსაზღვრელის მიცემითი? როგორ უნდა გავიგოთ აქ **დღე** — ქვემდებარე-სუბიექტის სახელობითად თუ დროის გარემოების გაუფორმებელ მიცემითად ან სახელობითად? საიდან უნდა მოდიოდეს ენისათვის უჩვეულო, არაწესიერი სიტყვათშეხამება **მას დღე**?

საკითხში გასარკვევად სინტაგმათა უჩვეულოდ გაფორმების სხვა შემთხვევებიც გავიხსენოთ.

დღეს ჩვეულებრივია, ითქვას: „იმ ზღაპრული კაცივით მომივიდა (ვ. ბარნ. I, 317), მაგრამ „იმ კაცივით“ წყვილი უჩვეულოდ გაფორმების ნიმუშადაა მიჩნეული „იმ კაცსავით“ შეხამების გვერდით: საზღვრული **კაცივით** სახელობითშია, მსაზღვრელად კი ჩვენებითი ნაცვალსახელის ე. წ. ირიბი ბრუნვებისთვის სახასიათო **იმ** ფუძეა წარმოდგენილი, — მაშინ, როცა სახელობითისთვის ბუნებრივია **ეს, ეგ, ის** ფუძეები, დანარჩენი ბრუნვებისათვის — **ამ, მაგ, იმ** ფუძეები.

ვასილ ბარნოვთან საყურადღებოა **ამდღე** ფორმაც:

თავისუფლადა გრძნობდა ბავშვი თავს და მთელი დღე უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა წყალზე, ტყეში, მინდორში. ამ დღე ჩიტებს დასდევდა — ან ძაღლს თუ კატას ეთამაშებოდა II, 379. რა ვიცი, რაც ამ დღე ეს ბავშვი კითხულობს! სულ წიგნს კი ჩასჩინებებს და, — მიესარჩლა ბეკო I, 225. პატარა ნალი, რომელზედაც ამდღე მოკეცილი იჯდა ის, გაბუებული და გაქათქათებული იყო I, 263. სიონის ქუჩაზე ისხდნენ მაშინ ეს ხელოსნები და ამ დღე ჩარხების ბზრიალი და ჩახიჩუხილა ისმოდა I, 341. ამ დღე... თათხში იყო შეკეტილი და ბოლთასა სცემდა III, 175 [1].

ამ დღე/ამდღე აგებულებით **ამ(ა)ღამ ამზამთარ იმკვირია...** ერთეულების რიგისაა; შედგება **ამ/იმ** ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და დროის აღმნიშვნელი არსებითი სახელებისაგან, რომელთაგან ზოგი არ ფორმდება, ზოგი ფორმდება სალიტერატურო ქართულში.

ამდღე „მთელ ამ დღეს“ ან „მთელი ეს (ამოდენა, ქალაქუწყალო) დღე“ თქმების შინაარსისა ჩანს; საგულისხმოა, რომ მწერალს მომიჯნავე ფრაზებში უხმარია „მთელი დღე“ და „ამ დღე“. **ამ** ფუძე „დღე“ სახელის სახელობითს არ ვარაუდობს, — სახელობითში **ეს** იქნებოდა ბუნებრივი. აქაც „ამ კაცივით“ შეხამების ანალოგიური ვითარებაა, — **ამ** ფუძე სახელობითის ფორმასთანაა! ეს ენობრივი ფაქტები „მას დღე“ თქმასთანაც პოულობს მსგავსების, ეგ არის, რომ აქ **(ა)მა** ფუძე გაფორმებულია მიცემითში.

„მას დღე“ წყვილს დაფასებისათვის მდიდარ ხელჩასაჭიდ მასალას იძლევა „ვეფხისტყაოსანი“; პოემაში გვაქვს: მ ა ს დ ღ ე, მ ა ს დ ღ ე ს ა, დ ღ ე ს ა მ ა ს, მ ა ს ღ ა მ ე, მ ა ს ღ ა მ ე ს ა, მ ა ს ღ ა მ ი თ ფორმები (მ ა ს დ ღ ე 11-ჯერ გვხვდება, მ ა ს / ა მ ა ს ღ ა მ ე — 4-ჯერ):

ა) მ ა ს დ ღ ე გასცემს ყველაკასა 53,1; არ გაიყარნეს მ ა ს ღ ა მ ე 945, 3; ა მ ა ს ღ ა მ ე ნუ მოხვალო 1097,3.

ბ) მ ა ს დ ღ ე ს ა ეღვა ნადიმი 466,3. მ ა ს ღ ა მ ე ს ა ერთად იყვნეს 948,3.

გ) დ ღ ე ს ა მ ა ს ნავროზობასა არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი 1121,1.

დ) მ ა ს ღ ა მ ი თ ვსხედით ნადიმად 467,1 [2].

„მას დღე“ და მისთანა ფორმები „ვეფხისტყაოსანში“ დროის გარემოებაა. დროის გარემოებადვე უნდა მივიჩნიოთ „მას დღე“ **ის დღე იყო და მას დღე** თქმაშიც („ის დღე“ სუბიექტი-ქვემდებარება **იყო** ზმნასთან). ამოსავალში ივარაუდება სათქმელი: „ის დღე იყო და მას დღეს იყო, რაღაც ქმედების შედეგად ვითარება რომ შეიცვალა და მანამდე ხსენებული მოვლენა გამოირიცხა“.

ისე რომ, „მას დღე“ მიცემითში გაუფორმებელი დროის გარემოებაა საძიებელ თქმაში. დროის გარემოების გაუფორმებლობა კი უჩვეულო როდია ქართულში; გიორგი ლეონიძის „ნატურის ხის“ მოთხრობების ფრაზებს მოვიხმობთ:

მთელი დღე ტრიალებდა სოფლის საქმეებზე, ღ ა მ ე ც კი მის განკარგებაზე ფიქრობდა [ციციკორე] 206. სიცხიანი, თვლებზე ცხვრის ქუდჩამოფხატული ზ ა მ თ ა რ - ზ ა ფ ხ უ ლ სოფელს ჩამოივლიდა ხოლმე 216. ერთ ზ ა მ თ ა რ, თოვლში რომ მოემწყვდა სოფელი..., ორი დარბაისელი მიუგზავნეს 94. „დილა წითდა, — ღ ა მ ე წვიმდა, ღ ა მ ე წვიმდა, — დილა მზითა“ 102.

მას დღე წყვილის „მას დღეს“ — მიცემითში გაფორმებული სახეობა ილიას ენაშიც გვხვდება, ოღონდ სხვაგვარ — „მას დღეს აქეთ/შემდეგ“ — თქმაში. იგი შინაარსობრივად უახლოვდება „ის დღე და მას დღე“, „ის იყო და ის“ თქმებს, — რაიმე მოვლენის შემდგომი ვითარების გადმოცემისას იხმარება; აქვს თავისი სახეობები.

დროის შინაარსის **დღე** რაიმე ფაქტიდან თუ მოვლენიდან (აქეთ ან იქით) დროული ზღვარდებულობის გადმოსაცემად მსაზღვრელ ნაცვალსახელიანიცა გვხვდება მწერალთან, უამისოდ; იქმნება სათანადო მოდელეები ვარიანტებითურთ; ასე, მაგალითად, ერთი მოდელია: **დღე** (ნათ.) უმსაზღვრელნაცვალსახელოდ + **იქით/შემდეგ** გათანდებულებული ზმნიზედები = **დღეის იქით/შემდეგ**. რომლის მნიშვნელობაა: „ამიერიდან“, „რომელიმე მოვლენიდან იქით, — შემდგომ“:

დღეს იქით თქვენი მფარველობაც მეყოფა 419. ჩემი სტოლნა-ჩალნიკი შენა ხარ დღეს იქით 421. ორმოც-და-ათი როზგი დაეკრას იმასო, ვინც თავის ნაბატონარს დღეს იქით ბატონს დაუძახებსო 330.

თუ **დღის** ფორმას მსაზღვრელი ნაცვალსახელი მოსდევს, ვიღებთ **დღის ამას იქით** შესიტყვებას „ამ დღიდან“, „ამის შემდეგ“, „ამიერიდან“ ერთეულების შინაარსით: დღეს ამას იქით იცოდეთ... 330.

ამას ნაწევარი მიცემითში ნათესაობით ბრუნვიან სახელთან წესიდან გადახვევა; „დღის ამას იქით“ **დღის იქით** და **ამას იქით** თქმების შერწყმითა ჩანს მიღებული.

წინამავალი ნაწევარი-მსაზღვრელი სათანადო სახელთან ერთად წესისამებრ მიცემითში გაფორმებულიცა გვხვდება „მას დღეს აქეთ“ შეხამებაში:

გამოვწიე და კახეთს შემოვეკედლე... მას დღეს აქეთ ასე ვარ 119. უბრალო გომში ვეგდე. გუბერნსკი პრავლენიაში ალაგი მიშოვნა..., მას დღეს აქეთ იმან მაცხოვრა 419.

რაზეა ორიენტირებული ენა, როცა მიჯნავს „დღეს აქეთ“ და „დღის იქით“ უმსაზღვრელო, ხოლო „იმ დღეს აქეთ“ და „ამ დღის იქით“ მსაზღვრელიან, — „ამიერიდან“ და „ამიერიდან“ სემანტიკის შესიტყვებებს? მათი შინაარსობრივი შეპირისპირებულობა, უპირველეს ყოვლისა, **ამ-იმ** და **აქეთ-იქით** ნაცვალსახელებისა და ზმნიზედებისათვის ნიშანდობლივი დეიქტური ელემენტებით ხერხდება. დღეს სახელის მიცემითი თუ ნათესაობითი ბრუნვის ფორმის შერჩევაც თითქოს ამ დანიშნულებისა ჩანს: „ამიერიდან“ — იქიდან **აქამდე**. ე. ი. **ჩემკენ** დროული მიმართულების შინაარსის შესიტყვება **მიცემითის** ირჩევს, „ამიერიდან“ — **აქედან** იქით, ე. ი. **ჩემგან** მიმართულებისა კი — ნათესაობითს. მოვლენათა ამგვარი გამიჯვნის მოშლის შედეგი უნდა იყოს **აქეთ/იქით** ზმნიზედების ადგილას დეიქსისის თვალსაზრისით ნეიტრალური **შემდეგ/შემდგომ/შერამე** ერთეულების ხმარება და სათანადო სახელის ნათესაობითში გაფორმების ტენდენციაც; გვაქვს:

კაკოც იმ დღის აქეთ, რაც ჩვენ ვნახეთ თამროსთან ერთად, ჩავარდა ნაღველში 542. ლუარსაბს ამ დღის აქეთ... სულ ის კალმით ნახატი ქალი აგონდებოდა 176. დათო იმ დღის შემდეგ, რაც კაკოსთან მოილაპარაკა, ცოტაოდნათ მოლხენილი იყო 550.

ამ მასალის მიხედვით მსაზღვრელნაწევრიანი **მას დღეს აქეთ** და **დღის ამას იქით** თქმების პარალელურად მსაზღვრელნაცვალსახელიან თქმებსაც გვთავაზობს ენა; გვხვდება: „იმ დღეს/ის აქეთ/შემდეგ“, „იმ დღის იქით/შემდეგ“ ვარიანტები.

„მას დღე“, „ამდღე“, „ამ კაცივით“ თუ ამ რიგის სხვა ენობრივი ფაქტები სვამს მსაზღვრელ ნაწევართა **ესე, ეგე — ისი, იგი** და **ამა — იმა** სისტემების ურთიერთობის მრავალმხრივ საყურადღებო საკითხებს, რომელთა გაშუქებას ჩაღრმავებული ძიება სჭირდება. რაც შეეხება **ის დღე და მას დღე** ფრაზეოლოგიზებულ თქმას, ესა და მისი შინაარსის სხვა საქცევები სათანადო ვარიანტებითურთ უნდა გამოვლინდეს, აღირიცხოს სამწერლობო ქართულსა თუ კილოებში, გაანალიზდეს და შესაბამისი ნიუანსების გათვალისწინებით შევიდეს ლექსიკოგრაფიულ წყაროებში — მწერალთა თუ დიალექტურ ლექსიკო-

ნებში, უპირველეს ყოვლისა კი — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალ გამოცემაში.

ლიტერატურა

ვასილ ბარნოვი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბილისი, 1961-1964.

ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1956.

გიორგი ლეონიძე, ნატვრის ხე, თბილისი, 1962.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1957.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ), I-VIII, თბილისი, 1950-1964.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1990.

ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, თბილისი, 1950; ტ. IV, 1955.

LEILA SHALVASHVILI

"Is Dye da Mas Dye"

The article deals with the content of "after that" conjugate's lingually many-sided significant syntax chemata **"Is dye igo da mas dye igo"** which still exists in Georgian writing language but mainly it is characteristic for colloquial and dialectical speech.

Researching the question is very interesting in theoretical as well as in practical viewpoints. Several problems appear such as pronunciation forms, their relations towards article, the registration of their proper variants in the dictionaries, etc.